საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 4189/01
26/04/2022

4189-01-2-202204260955

შპს „ამბ ჯგუფს“

მის: ქ. თბილისი, გლდანი ნაძალადევის რაიონი, თიანეთის ქ. №8, ბ. 12

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თქვენი №6896 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება დუშეთის მუნიციპალიტეტში, სოფ. ოძისის მიმდებარედ, სასარგებლო წიაღისეულის (ქვიშა-ხრეშის) გადამამუშავებელი საწარმოს ტერიტორიაზე ნავთობპროდუქტების საცავის ექსპლუატაციას.

გაცნობებთ, რომ სკრინინგის განცხადებაში დაზუსტებას საჭიროებს და წარმოდგენილი უნდა იქნეს საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები:

- ვინაიდან, საპროექტო ტერიტორიაზე დაგეგმილია ნავთობპროდუქტების საცავის ექსპლუატაცია, სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილი უნდა იქნეს ინფორმაცია აღნიშნული საქმიანობის ფარგლებში გარემოს სხვადასხვა კომპონენტებზე მოსალოდნელი ზემოქმედების შესახებ, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-6 ნაწილით განსაზღვრული კრიტერიუმების შესაბამისად;
- დოკუმენტში მოცემულია ურთიერთგამომრიცხავი ინფორმაცია, კერძოდ, „შესავალში“ მითითებულია, რომ საწარმოს ტერიტორიაზე, ტექნიკისა და სატრანსპორტო საშუალებების საწვავით უზრუნველყოფის მიზნით 2021 წელს დამონტაჟდა 5 $მ^3$ ტევადობის, დიზელის საწვავისთვის განკუთვნილი რეზერვუარი. ამასთან „საწარმოს მოკლე საქმიანობის აღწერაში“ აღნიშნულია, რომ ობიექტზე განთავსებული დიზელის რეზერვუარის მოცულობა შეადგენს 4.5 $მ^3$-ს. ამასთან, დოკუმენტში საწვავის რეზერვუარის მოცულობად, რიგ შემთხვევაში მითითებულია 4.5 ტონა (გვ. 11). შესაბამისად, დაზუსტებას საჭიროებს საპროექტო ტერიტორიაზე მოწყობილი დიზელის რეზერვუარის მოცულობა. დოკუმენტში, ასევე, წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია საწარმოში განთავსებული ნავთობპროდუქტების საცავის გადახურვის, სასუნთქი სარქველით აღჭურვისა და მისი შევსების შესახებ;
- სკრინინგის განცხადებაში აღნიშნულია, რომ ქვიშა-ხრეშის საწარმოს ფუნქციონირებისას ტექნიკური დანიშნულებით წყალაღება ხორციელდება ტუმბოს (20 $მ^3$/სთ) მეშვეობით, მდ ქსნიდან. ამასთან, დოკუმენტში მითითებულია, რომ კომპანიის მიერ დაგეგმილია დამატებით ერთი ცალი, 15 $მ^3$/სთ წარმადობის ტუმბოს დამატება. შესაბამისად, სკრინინგის განცხადებაში დაზუსტებას საჭიროებს, აღნიშნული ტუმბოს განთავსების მიზანი. დამატებით გაცნობებთ, რომ

იმ შემთხვევაში, თუ პროექტის ფარგლებში გათვალისწინებულია სამსხვრევ-დამახარისხებელ საწარმოში ცვლილებების განხორციელება, სკრინინგის განცხადება უნდა მოიცავდეს დეტალურ ინფორმაციას დაგეგმილი ცვლილებებისა და აღნიშნული ცვლილებებით გარემოს სხვადასხვა კომპონენტებზე მოსალოდნელი ზემოქმედების შესახებ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამინისტრო კანონმდებლობის შესაბამისად, სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით შესწორებული სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე